89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №16 (7069) 15 აგვისტო 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

მონიტორინგი მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. ძირითადი მიმართულება საგზაო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, სპორტული მოედნების, ტრენაჟორებისა და სკვერების მოწყობა, სასმელი წყლის სისტემების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადებისა და ეზოების რეაბილიტაციაა.

ამ ეტაპზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის („განახლებული რეგიონები“) ფარგლებში, ქალაქ თერჯოლის ცენტრალური უბნის (რუსთაველის ქუჩა) ურბანული განახლება ინტენსიურად მიმდინარეობს.

პროექტი მოიცავს 5 შენობისა და 2 პარკის რეაბილიტაციას. ცენტრალური უბნის, კერძოდ კი, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე შენობების განახლებას. პროექტის ფარგლებში, შენობების კარ-ფანჯარა იცვლება ახალი იზოპროფილის ვიტრაჟებით, ფასადებზე თბოსაიზოლაციო მასალების გამოყენებით, ძლიერდება მათი ენერგოეფექტურობა, წესრიგდება საფეხმავლო ზოლი და ეწყობა მიმდებარე სკვერები და პარკები, სადაც განახლდება ბავშვთა გასართობი სივრცეები.

☞2

ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები

ჩვენს მუნიციპალიტეტში უახლოეს დღეებში დაიწყება საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფონდიდან დაფინანსებული პროექტების განხორციელება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებში, ქალაქ თერჯოლაში ამფითეატრი, ხოლო სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონა მოეწყობა.

ქალაქ თერჯოლაში, მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ამფითეატრი სრულად რეაბილიტირდება. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ღია სცენა, დასასვენებელი სკამები, ტრიბუნები, მისასვლელი ბილიკები და განათების სისტემა.

სოფელ ძევრში, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია და მოეწყობა;

—ავტოპარკინგი საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე

—საინფორმაციო შენობა

—საპიკნიკე ფანჩატურები

—გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკი

— გადასახედი მდ. ძევრულაზე, გამჭვირვალე კონსტრუქციით;

—შშმ პირებზე ადაპტირებული გარემო

—გარე განათების ქსელი

პროექტის მიზანია, ძევრის ადმინისტრაციულ ერთეულში, საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად გარდაქმნა, რაც სოფელს ახალ შესაძლებლობებს შემატებს.





დიდება გმირებს!

14 წელი 2008 წლის აგვისტოს ომიდან

8 აგვისტოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, 8 აგვისტოს ომში გმირულად დაღუპულ მებრძოლებს პატივი მიაგეს და გმირთა მემორიალები და საფლავები გვირგვინებით შეამკეს.

სასულიერო პირებმა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადეს. მემორიალზე, ოჯახის წევრები და მეგობრები იმყოფებოდნენ, სადაც მათი გმირობის ისტორიებიც გაიხსენეს.

თერჯოლა არასოდეს დაივიწყებს აგვისტოს ომის გმირებს:

ვალერი გოგნაძეს, გიგა სახელაშვილს, უშანგი (შმაგი) სოფრომაძეს, ალია ბარდაველიძეს, ბადრი ბასილაძეს!

ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ომში დაღუპული გმირების ოჯახის წევრებმა იგრძნონ ყურადღება, ზრუნვა და თანადგომა. მერის ინიციატივით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათ ოჯახებს ფულადი დახმარება გადაეცათ.

დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სახელმწიფო დროშები დაეშვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობებზე და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში.

ხელმძღვანელ პირებთან ერთად, გმირთა მემორიალზე და საფლავებზე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, ღვანკითისა და რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, შალვა ჭანკვეტაძე, გოგნის, ძევრისა და ჩხარის მაჟორიტარი დეპუტატი, მანუჩარ ფანჩულიძე, ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი, ანდრო ვაშაკიძე, მერიის თანამშრომლები, ასევე დაღუპულთა ოჯახის წევრები და მეგობრები იმყოფებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2,3

ლიტერატურული გვერდი

დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

☞5



დავით კლდიაშვილი-160

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

1☜ მონიტორინგი მაღალი რანგის სტუმრებთან ერთად...

ასევე, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს N3 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დასრულდება 2022 წლის დეკემბერში. პროექტის ღირებულებაა 2 243 845 ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფელ რუფოთსა და ქვედა სიმონეთში დასრულდა

საჯარო სკოლების და შენობების სრული რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციის და სახანძრო სისტემის აღდგენა-განახლება, არსებული ფართების გადაგეგმარება შესაბამისი სტანდარტებისა და რეგულაციების მიხედვით. სკოლების რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელი იქნება სოფელ რუფოთის საჯარო სკოლაში მინიმუმ 200 მოსწავლის, ხოლო ქვედა სიმონეთის საჯარო სკოლაში - 250 მოსწავლის მიღება.

მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

მინისტრი, ირაკლი ქარსელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი, ბეჟან წაქაძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით მიმდინარე პროგრამის „განახლებული რეგიონები“ ფარგლებში, ქალაქ თერჯოლაში რუსთაველის ქუჩაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, საფეხმავლო ბილიკების, სპორტული ინფრასტრუქტურისა და ბავშვთა გასართობი სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, გარდა ამისა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა კოსტავას ქუჩაზე არსებულ საცხოვრებელ კორპუსებს.

თერჯოლის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ის დიდი მხარდაჭერა, რომელსაც მუნიციპალიტეტი საქართველოს მთავრობის, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულიდან იღებს.

,,ძალიან სასიხარულოა, როდესაც ჩვენს მუნიციპალიტეტში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები წარმატებით ხორციელდება, სამომავლოდ მნიშვნელოვანი სიახლეები იგეგმება, რაც თერჯოლას განვითარების ახალ ეტაპზე გადაიყვანს”- ლაშა გოგიაშვილი.

მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,დაგი“ ანხორციელებს, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება. სარეაბილიტაციო სამუშაოები, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის, ისე საერთაშორისო ინსტიტუტების მხარდაჭერით ფინანსდება.

კვლავ ინფრასტრუქტურული პროექტები

ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის წევრმა, თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა ასევე, საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ, გაეცნენ სოფლებში არსებულ მდგომარეობას, დამატებით საჭიროებებსა და რიგი საკითხების მოგვარების გზებზე იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრა გაიმართა სოფელ ზედა საზანოში, ზედა და ქვედა სიმონეთში, ასევე ეწრის ადმინისტრაციულ ერთეულში.

მიმდინარე წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 115 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება.

ამ დროისთვის დასრულებულია სოფელ ზედა საზანოს საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ორსართულიანი საბავშვო ბაღი აშენდა, სადაც 100-მდე აღსაზრდელი სკოლამდელ განათლებას ადაპტირებულ და უსაფრთხო გარემოში მიიღებს, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყო საბავშვო ბაღის ეზოც.

უახლოეს დღეებში დაიწყება ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა.

<u>დასრულდა</u> სოფელ ზედა სიმონეთში, სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა . პროექტის ფარგლებში ცენტრალური მაგისტრალი, საქლორატორო ნაგებობა, სატუმბი სადგური და რეზერვუარი მოეწყო, რომლის შემდეგაც სასმელი წყლით 745 ოჯახი ისარგებლებს.

<u>სრული—რეაბილიტაცია</u> ჩაუტარდა ქვედა სიმონეთის მე-2 საჯარო სკოლას.

სკოლის ახალი შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კეთილმოწყობილი და ადაპტირებული იქნება. პროექტის ფარგლებში სკოლას, როგორც კოსმეტიკური რემონტი, ასევე გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა, მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა, ეზო და სპორტული მოედანი.

სოფელ ეწერში ახალგაზრდების ჩართულობით მოეწყო სპორტული ტრენაჟორები და უახლოეს დღეებში დაიწყება ,,სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად დაიგეგმა.

სამუშაო შეხვედრას მერის მოადგილე, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი, საკრებულოს წევრი, კობა კაცაძე, ბარდუბნისა და ეწრის მაჟორიტარი დეპუტატი, გოჩა ვერულაშვილი, ასევე საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჩვენი თერჯოლა, რომ უფრო სუფთა და ლამაზი იყოს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით ქალაქ თერჯოლასა და მის შემოგარენში, კერძოდ, ავტობანის მიმდებარე ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობს დასუფთავების სამუშაოები.

გზის განაპირა ადგილებზე ხდება ხეების დაზიანებული ნაწილის, გამხმარი ტოტების მოცილება, ფერდობზე ჯაგნარის გაკაფვა და ნარჩენების გატანა.

სამუშაოების მიზანია კეთილმოწყობილი, სუფთა, გარემოს შენარჩუნება და არსებული მწვანე ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლება.

დასუფთავების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების, სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მასშტაბური პროგრამის ფარგლებში ჩართული ბენეფიციარების, ასევე ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ერთობლივი მუშაობით განხორციელდა.

გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი და... ერთმანეთი!

თერჯოლას თავის საკუთარი საზომ-საწონი აქვს...

თავის პეწსა და ლაზათს ამზიურებს.

აქ ყველა ყველას იცნობს.

ყველა ყველას ესალმება.

აქ განსხვავებულად, როგორღაც უფრო თბილად უღიმიან ერთმანეთს ადამიანები...

და, ეს ყველაფერი გვაბედნიერებს.

და, ეს ყველაფერი მოგვიწოდებს უფრო მეტად, უფრო მეტად, უფრო მეტად გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი და... ერთმანეთი!

ჩვენი თერჯოლა ნებისმიერ ტკივილს გვიყუჩებს...

ვალდებული ვართ გვიყვარდეს...

ვალდებული ვართ ვზრუნავდეთ მისთვის.

გვახარებს, რომ აქ, საითაც გაიხედავთ რაღაც მნიშვნელოვანი ხდება, შენდება, მშვენდება...

იცვლება არქიტექტურა, სტრუქტურა...

დადიხარ, გიხარია. სურვილი გეუფლება შეუჩერდე, მონაწილე გახდე ამ დინამიკის.

ჩვენო თერჯოლა—გმადლობთ, რომ ასეთი ხარ. რომ სიხარულს გვგვრი...

შენ ხვალ უფრო ლამაზი გახდები, როგორ არ გვიხაროდე, როგორ არ ვამაყობდეთ შენით.

მშენებლებო, კეთილ ხმას გაწვდენთ. თითქოს ჩვენც თქვენთან ერთად ვიდგეთ მაგ ხარაჩოზე; ჩვენც თქვენთან ერთად ვდებდეთ აგურს...

* * *

ჩვენი ქალაქის ცენტრში კეთილმოწყობის მოცულობითი სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. გამრჯე ადამიანები ახალ სახეს სძენენ, ალამაზებენ და ამშვენებენ აქაურობას.

თვალს ახარებს ეს ყველაფერი.

კიდევ ცოტაც და ერთად ვიხილავთ და ვიზეიმებთ ჩვენი ქალაქის განახლებულ-გალამაზებულ ცენტრს.

როცა ყველაფერი დასრულდება ერთად გავიაროთ ქალაქის ქუჩებში. ფოტოობიექტივით აღვბეჭდოთ ყოველი, რაც ეგრე გვახარებს და გვაბედნიერებს...

მოამზადა ნუგზარ გამყრელიძემ

ბიუჯეტის 6 თვის შედეგები საბიუჯეტო წლის წარმატებით დამთავრების კარგი წინაპირობაა...

მიმდინარე წლის 3 აგვისტოს გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელმაც რამდენიმე გეგმიური და მიმდინარე საკითხი განიხილა.

საკრებულოს სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი.

საკრებულოს სხდომაზე წარმოდგენილ და განსახილველ საკითხთა შორის იყო ინფორმაცია, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი ფორმით ცნობად მიიღეს საკრებულოს დეპუტატებმა.

საკრებულოს სხდომის შემდეგ, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: **„ბიუჯეტის ექვსი თვის შედეგები, რაც მუნიციპალიტეტმა აჩვენა, იმის დასტურია, რომ მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ—მისმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ—საკრებულომ და აღმასრულებელმა ორგანომ—მუნიციპალიტეტის მერიამ, მათმა ხელმძღვანელებმა და სამსახურებმა სწორად და მიზანმიმართულად იმუშავეს, რომ არა მარტო სრულად დაგვეფინანსებინა ექვს თვეში გაწეული ხარჯები, არამედ შეგვექმნა მყარი ბაზა წლის წარმატებით დასრულებისათვის. სამომავლო განწყობა მერიისა და საკრებულოს ყველა დონეზე ოპტიმისტურია, რაც იმის გარანტიაა, რომ თამამად შეიძლება წინასწარვე ვთქვათ—თერჯოლის მუნიციპალიტეტი წარმატებით შეასრულებს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის ყველა გეგმიურ პარამეტრს** და თერჯოლის მუნიციპალიტეტი საქართველოს იმ მოწინავე მუნიციპალიტეტთა რიცხვში იქნება, რომლებიც წარმატებით დაასრულებენ საბიუჯეტო 2022 წელს.

აქვე გთავაზობთ ინფორმაციას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ,

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N21 დადგენილებით, თავდაპირველად განსაზღვრული იყო 13500.0 ათასი ლარით.

2022 წლის ექვს თვეში ბიუჯეტის ცვლილება 6-ჯერ განხორციელდა და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 25138.3 ათასი ლარით.

ბიუჯეტის ექვსი თვის შემოსულობების ანალიზი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის ფაქტიურმა შემოსავლებმა 12847.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის (25138.3 ათასი ლარი) 51,1 %-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ექვსი თვის ფაქტიურ შემოსავლებში (12847.2 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 7012.5 ათას ლარს, ანუ 54,5 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 403.4 ათას ლარს, ანუ 3,1 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 3623.4 ათას ლარს, ანუ 8,2%-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 128.6 ათას ლარს.

ფაქტიური შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2022 წლის ექვსი თვის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 7012.5 ათას ლარი (54,5%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 5223.2 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 729.0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმიური მოცულობის (819.0 ათასი ლარი) 89,0%-ია. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 2894.4 ათასი ლარის ოდენობით. წლიური გეგმიური მაჩვენებელი ამ სახით გათვალისწინებულია 8476.3 ათასი ლარი.

თავის მხრივ, სახელმწიფო ფონდებიდან მისაღები ტრანსფერები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის განსაზღვრულია „რეგიონში განსახორციელებელ პროექტებზე“ 7586.3 ათასი ლარი, საქართველოს მთავრობის განკარგულებებით სხვადასხვა სახის პროექტებისათვის გათვალისწინებულია 200.0 ათასი ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე -690.0 ათასი ლარი.

2022 წლის ექვს თვეში საკუთარი (საგადასახადო და არასაგადასახადო) შემოსავლები განსაზღვრული იყო 5935.6 ათასი ლარით. ფაქტიურმა მაჩვენებელმა 7544.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც 1608.9 ათასი ლარით აღემატება გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

საკუთარ შემოსავლებში საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენდა 5454.1 ათას ლარს, რომელიც ნაწილდება მიწის გადასახადზე (20.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადზე (4433.9 ათასი ლარი) და საწარმოთა ქონების გადასახადზე (1000.0 ათასი ლარი).

2022 წლის ექვს თვეში არასაგადასახადო შემოსავლების გეგმა-დავალება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 354.5 ათასი ლარი, შესრულებამ შეადგინა 403.4 ათასი ლარი, რაც 48.9 ათასი ლარით აღემატება დაგეგმილს.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები ჩარიცხულია 126.8 ათასი ლარის ოდენობით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვს თვეში შემოსავლების შესრულება გადასახადების ცალკეული სახეების მიხედვით ასეთია:

ა) საწარმოთა ქონების გადასახადი შესრულდა-177,2%-ით (გეგმა -1000.0 ათასი ლარი, ფაქტი - 1772.1 ათასი ლარი).

ბ) ფიზიკურ პირთა ქონება ჩარიცხულია 0.2 ათასი ლარი.

გ) სასოფლო მიწაზე გადასახადი შესრულდა-105,8%-ით (გეგმა -17.0 ათასი ლარი, ფაქტი - 18.0 ათასი ლარი).

დ) არასასოფლო მიწაზე გადასახადი არ ჩარიცხულა.

ე) დამატებული ღირებულების გადასახადი -117,8%-ით (გეგმა- 4433.9 ათასი ლარი, ფაქტი - 5223.2 ათასი ლარი).

ვ) დეპოზიტებზე და ანგარიშებზე პროცენტები ჩარიცხულია 58.7 ათასი ლარი.

ზ) მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის-100,4 %-ით (გეგმა -161.0 ათასი ლარი, ფაქტი - 161.7 ათასი ლარი).

თ) ჯარიმები, სანქციები, საურავები-101,8 %-ით (გეგმა -60.0 ათასი ლარი, ფაქტი - 61.1 ათასი ლარი).

ი) სხვადასხვა არასაგადასახადო შემოსავლები - 161,4%-ით (გეგმა - 75.5 ათასი ლარი, ფაქტი -121.9 ათასი ლარი).

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 6 თვის გადასახდელების ანალიზი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის გადასახდელების გეგმა შეადგენს 10789.0 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია – 10789.0 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის გადასახდელებში საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობა დაფინანსებულია – 100,0 %-ით, ანუ - 1982.2 ათასი ლარით (გეგმა- 1982.2 ათასი ლარი; ფაქტი -1982.2 ათასი ლარი).

თავდაცვის ხარჯები დაფინანსებულია – 77.6 ათასი ლარით (გეგმა 77.6 ათასი ლარი; ფაქტი – 77.6 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობა დაფინანსებულია – 1174.8 ათასი ლარით (გეგმა – 1174.8 ათასი ლარი; ფაქტი -1174.8 ათასი ლარი).

გარემოს დაცვა (თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური) დაფინანსებულია –1328.1 ათასი ლარით (გეგმა – 1328.1 ათასი ლარი; ფაქტი – 1328.1 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

საბინაო კომუნალური მეურნეობა დაფინანსებულია – 1564.2 ათასი ლარით (გეგმა – 1564.2 ათასი ლარი; ფაქტი -1564.2 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსებულია 298.1 ათასი ლარით (გეგმა -298.1 ათასი ლარი, ფაქტი 298.1 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია 100,0%-ით.

წყალმომარაგება დაფინანსებულია – 914.0 ათასი ლარით (გეგმა - 914.0 ათასი ლარი; ფაქტი -914.0 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია -100,0% ით.

გარე განათება დაფინანსებულია – 241.3 ათასი ლარით (გეგმა – 241.3 ათასი ლარი; ფაქტი – 241.3 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია -100,0 % ით.

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებულია – 110.8 ათასი ლარით (გეგმა – 110.8 ათასი ლარი; ფაქტი -110.8 ათასი ლარი).

ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია -63.2 ათასი ლარით (გეგმა -63.2 ათასი ლარი; ფაქტი – 63.24 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია- 100,0 %-ით.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა დაფინანსებულია – 63.2 ათასი ლარით.

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსებულია – 867.0 ათასი ლარით (გეგმა –867.0 ათასი ლარი; ფაქტი – 867.0 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებულია – 293.1 ათასი ლარით (გეგმა – 293.1 ათასი ლარი; ფაქტი – 293.1 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100.0 პროცენტით.

სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია 291.6 ათასი ლარით. სპორტული ღონისძიებები დაფინანსებულია 1.5 ათასი ლარით.

მომსახურეობა კულტურის სფეროში დაფინანსებულია – 508.4 ათასი ლარით (გეგმა – 508.4 ათასი ლარი; ფაქტი-508.4 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

მ/შორის: თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების მუნიციპალური ცენტრი 90.3 ათასი ლარით, სახელოვნებო სკოლები (სამუსიკო და სამხატვრო) დაფინანსებულია - 123.8 ათასი ლარით, ბიბლიოთეკები დაფინანსებულია – 73.3 ათასი ლარით, კულტურის სახლი დაფინანსებულია – 182.2 ათასი ლარით, მუზეუმები დაფინანსებულია – 38.8 ათასი ლარით.

რელიგიური და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა დაფინანსებულია – 38.0 ათასი ლარით. ახალგაზრდული პროგრამები დაფინანსებულია 18.0 ათასი ლარით. რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა დაფინანსებულა 20.0 ათასი ლარით.

საგამომცემლო საქმიანობა დაფინანსებულია 27.5 ათასი ლარით.

განათლების ხარჯი დაფინანსებულია – 2372.5 ათასი ლარით (გეგმა – 2372.5 ათასი ლარი; ფაქტი - 2372.5 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0 %-ით.

სკოლამდელი აღზრდა დაფინანსებულია 2466.4 ათასი ლარით. აქედან: სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია – 55.6 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხარჯები დაფინანსებულია – 1567.9 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 843.1 ათასი ლარით.

ზოგადი განათლება დაფინანსებულია 763.6 ათასი ლარით (გეგმა - 763.6 ათასი ლარი; ფაქტი – 763.6 ათასი ლარი). მოსწავლე-ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი და ესთეტიკური აღზრდის მუნიციპალური ცენტრი დაფინანსებულია - 124.6 ათასი ლარით, საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსებულია 639.0 ათასი ლარით.

სოციალური დაცვა დაფინანსებულია – 501.7 ათასი ლარით (გეგმა – 501.7 ათასი ლარი; ფაქტი - 501.7 ათასი ლარი). გეგმა შესრულებულია - 100,0%-ით.

2022 წლის ბიუჯეტის წლიური სარეზერვო ფონდი დაგეგმილია - 60 800 ლარით და გაიხარჯა - 27400 ლარი.

კრედიტორული დავალიანება არ ირიცხება, ხოლო დებიტორული დავალიანება შეადგენს -10.0 ათასი ლარს. ასევე, გრძელვადიანი ვალდებულება არის - 113.5 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში საქართველოს მთავრობის 2017 წლის N2712 განკარგულებით, სტიქიით მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ მიღებული დაფინანსებიდან 2022 წელს გაიხარჯება 17.2 ათასი ლარი და უკვე გახარჯულია 23 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის №75 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 2022 წელში გამოეყო დაფინანსება -2941.1 ათასი ლარი. მათ შორის: ღვანკითი-ავტობანის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 709.5 ათასი ლარით და შესრულებულია 709.5 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. ზედა საზანოში საბავშვო ბაღის შენობის სამშენებლო სამუშაოები დაფინანსდება 616.4 ათასი ლარით და შესრულებულია 394.4 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. ახალთერჯოლის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა დაფინანსდება 760.0 ათასი ლარით და შესრულებულია 760.0 ათასი ლარის სამუშაოები; სოფ. თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 505.2 ათასი ლარით და შესრულებულია 159.4 ათასი ლარის სამუშაოები; ქ. თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 222.4 ათასი ლარით და შესრულებულია 222.4 ათასი ლარის სამუშაოები. გოგნი-ტყიბულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 127.7 ათასი ლარი.

ასევე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს №1419 განკარგულებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტების ფონდიდან გამოეყო დაფინანსება 4645.2 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება: ტურისტებისათვის, ბუნების და მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, სოფელ ძევრში საგვარჯილეს მღვიმეების მიმდებარედ არსებული რეკრეაციული ზონის მოწყობა 1214.5 ათასი ლარით; სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება და მოდერნიზაციის მიზნით, ქ.თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული ღია ამფითეატრის, მის მიმდებარედ არსებული შენობა - ნაგებობების ფასადებისა და სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია 1082.7 ათასი ლარი და ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღი, რომელზეც დაიხარჯება 2348.0 ათასი ლარი.

ოთხი ვაჟის დედის სადღეისო ოცნება და განაცხადი...

ანა გოგიაშვილი მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის პედაგოგია. იგი უკვე წლებია ქარგვას ასწავლის ამ საქმით დაინტერესებულ აღსაზრდელებს, რომელთა ნამუშევრებს უკვე არაერთი საგამოფენო სივრცე დაუმშვენებია, როგორც ჩვენს მუნიციპალიტეტში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ერთი თვის წინ, ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის თექა-გობელინის კლუბთან ხელმძღვანელი (ხათუნა გურული) ერთად, მისი ნაქარგებიც იყო წარმოდგენილი და დამთვალიერებლების მოწონებაც დაიმსახურა. შემდეგ ბათუმში შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა.

გადავწყვიტეთ, რომ გაზეთ „თერჯოლას“ მკითხველისათვის გაგვეცნო და მოკლე ბიოგრაფია ვთხოვეთ...

აღმოჩნდა, რომ მას შეეძლო თავისი ბიოგრაფია ლექსად გადმოეცა...

აღმოჩნდა, რომ ის ოთხი შვილის, ოთხი ვაჟის დედაა და... ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო ქალბატონია, თავისი დედობით, განათლებით, ინტელექტით, პატრიოტიზმით.

მშობლები დავით გოგიაშვილი და გუგული სილაკაძე წარმოშობით თერჯოლელებია, მამა რუფოთიდან, ხოლო დედა კვახჭირიდან, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ლიტოპონის ქარხანაში მუშაობდნენ, იქ დაოჯახდნენ. ქ. ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირზე ცხოვრობდნენ და სიყვარულსა და სითბოში ზრდიდნენ ანას და მის ძმებს: შალვასა და ზურაბს, ქართულ კულტურასა და ტრადიციებს აზიარებდნენ, წიგნის, მოყვასისა და მამულის სიყვარულს ასწავლიდნენ.

ანამ უნივერსიტეტის წითელ დიპლომზე დამთავრების შემდეგ, ანუ სწავლის მანძილზე არასდროს „5“-ზე ნაკლები ნიშანი არ მიუღია, 15 წელი ქ. ქუთაისში №28, და №8 საჯარო, აგრეთვე კერძო სკოლა „ქუთაისი 1000“ სკოლებში პედაგოგობდა.

შემდეგ დაოჯახდა და თავისი მომავალი ცხოვრება თერჯოლელ ვალერი მაკარიძეს, პროფესიით ინჟინერს დაუკავშირა. ერთი სემესტრი იმუშავა „მზეკაბანში“, შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით შვილები შეეძინა და დროებით, მათ წამოზრდამდე საყვარელ საქმეს ჩამოშორდა... დიდი სურვილის მიუხედავად მერე სკოლაში მისთვის ადგილი აღარ აღმოჩნდა, რაც დღემდე გულისტკივილად და ოცნებად რჩება, თუმცა ქარგვის ხელოვნება მისი ჰობია და ბედნიერია, რომ ამით ივსებს აღსაზრდელებთან მუშაობისა და ურთიერთობის დაუოკებელ სურვილს... იმედია ანა—სერტიფიცირებული პედაგოგი, უფროსი მასწავლებლის სტატუსით მალე ამ ოცნებას აისრულებს...

თერჯოლას, რუფოთში ბაბუისეულ სანაქებო ფუძეს დაუბრუნდნენ მისი ძმებიც: შალვა და ზურაბი, აქ შექმნეს ოჯახები, ზრდიან: შალვა—3 ვაჟს, ხოლო ზურაბი ქალ-ვაჟს... დიახ, იქ, სადაც ძირძველი ფუძეა, სადაც მათმა ბებია-ბაბუამ ლუბა და შალვა გოგიაშვილებმა 7 შვილი, 3 ვაჟი და 4 ქალიშვილი აღზარდეს, რომელთა შორის 4 მასწავლებელი, 1 ექიმი, 1 ინჟინერი და 1 ბუღალტერი იყო... ამათგან დღეს ცოცხალი მხოლოდ ექიმი, ჯუმბერ გოგიაშვილია, რომელიც ექიმ მეუღლესთან ერთად გორში ცხოვრობს და საქმიანობს...

სულ ესაა, დანარჩენს ანა თავად გიამბობთ, ინტერესით წაიკითხეთ...

„გზა წარსულიდან მომავლისაკენ“—ლექსად ნათქვამი ერთი რომანტიკოსი ქალის ბიოგრაფია.

„შემოქმედისგან ეძლევა მადლი და დასაბამი ყოველ არსებას,—მეც ასე, ღვთის წმინდა ნებით და მისი ძალით მოველ ამ ქვეყნად ვარდობის თვეში, ვარდების ტევრში მიწაზე თურმე ცრემლით დავეშვი და შევიცანი ვრცელი სამყარო ღვთისგან შექმნილი მრავალი ფერით. ბავშვობა მახსოვს, როგორც ვეება, მყუდრო, მშვიდი და ვრცელი ნაკრძალი, მოგონებები იმ დროის მახლავს, არ მავიწყდება განცდილ-ნანახი. დიდი ცხოვრების გარიჟრაჟთან კი ერთი ლამაზი ფიქრით მივედი,—მსურდა, მეპოვა საკუთარი გზა და მომავალი თაობის სულში ენის, მამულის, სარწმუნოების დაცვის შეგნება რომ ჩამენერგა. აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ პედაგოგის ვიტვირთე ჯვარი და მოსწავლეებს ქართული ენისა და ლიტერატურის გასაოცარი შევუღე კარი. მერე კი „როცა დედობის მადლი მომეცა, ხელოვნებაში გადმოვინაცვლე. „სიცოცხლის გზა ხომ მოკლეა მუდამ, ხელოვნებისა კი არის გრძელი“—ასე ამბობდნენ ძველი ბერძნები და ამ აზრს ახლა მეც ვეთანხმები. ჩემი ჰობია ქარგვა და როცა ქსოვილზე ჩნდება პალიტრა ჭრელი, მე მაშინ მჯერა, ეს ნაქარგები ხელოვნებაა და თან წყალობა მიწის და ზეცის... და ისიც მჯერა, რომ მათთან ერთად მარადიულად დავრჩები ქვეყნად. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ტრადიციული მხატვრული ქარგვის სიყვარულს ვაზიარებ მოსწავლეებს და ისინიც თავიანთი პატარა თითებით ქმნიან საოცარ პალიტრას ფერთა. და არის კიდევ ის, რაც მამშვიდებს და სულში მისით ყოველთვის მზეა, ის მაძლევს მუდამ სულიერ საზრდოს, მუდამ მამხნევებს მე პოეზია. ჩემს სათქმელს ხშირად ლექსის ფორმა აქვს, ვეთამამები გარითმულ სიტყვებს, აწმყო, წარსული და მომავალი მე საკუთარი ლექსიდან მიმზერს. სალექსო სტრიქონს გავანდობ ფიქრებს და სურვილებსაც გავანდობ უხვად, ჩემი ცხოვრების მთავარ სიხარულს—დავითს, საბას, გაბრიელს და დემეტრეს—შვილებს ასედაც ვავედრებ უფალს. და ხშირად შევთხოვ, რომ დაიფაროს, გადაარჩინოს მთელი სამყარო, სიმშვიდე იყოს ამ ქვეყნად მარად, რომ ჩვენი ჯვარი მშვიდად ვატაროთ... აი, ეს არის ჩემი სათქმელი, ეს არის ჩემი ბიოგრაფია, ეს არის ჩემი დღე გუშინდელი, დღევანდელობა და სამომავლო მამულის ვალი—ვზარდო ქართული სულით 4 ვაჟკაცი, მჯერა, ქართულ მიწაზე რწმენით ივლიან. დედაშვილობა წმინდა მადლია, თან უხილავი კავშირი ღმერთთან, მწამს, ღირსეული შვილების აღზრდით ნამდვილ სიხარულს განიცდის დედა.

მერე კი, როცა ჩამოჰკრავს ჟამი, როცა მიმიხმობს უფალი მასთან, აღსრულებული მექნება ვალი და პირნათელი ვიქნები მარად“.

აი ასე ფიქრობს და წერს ანა დამქანცველი ყოველდღიურობის მიუხედავად:

„...მოდი საკუთარ თავზე მე უკეთ ვიტყვი, თანაც მესამე პირში:

ჰოდა ასე—4 შვილის დედა მე ვიცი ასეთი:

ჯერ მეოთხესთან, დემეტრესთან ერთად, ბაღის გამოსაშვებ ზეიმზე ცეკვავს და მღერის (მშობელთა ჩართულობა იყო საჭირო). ასე ცეკვა-თამაშით დავასრულეთ ბაღი და ბაღთან 11-წლიანი ურთიერთობა, რომელიც იყო ცელქობის, გართობის, სამყაროს შემეცნებისა და სკოლისათვის მზაობის საუკეთესო პერიოდი...

შემდეგ დაიწყება ექსკურსიების კასკადი... შვილების თანატოლებთან და მათ მშობლებთან ერთად საქართველოს შემოივლის...

მესამესთან გაბრიელთან ერთად ქუთაისს და მის შემოგარენს ეწვევა და დიდებული გელათისა და ბაგრატის ტაძრებს მოილოცავს, სათაფლიაზე კიდევ ერთხელ შეავლებს თვალს უძველესი წარსულის ნაშთს—დინოზავრების ნაკვალევს, შუშის ხიდზე გავლასაც გაბედავს, გაბაშვილის გორაზე პარკის ატრაქციონებზე შვილთან ერთად გაერთობა, „ეშმაკის ბორბალზე“ ცოტა კი შეშინდება, მაგრამ არ შეიმჩნევს, გაბრიელიც რომ არ შეშინდეს...

მეორესთან, საბასთან ერთად სამეგრელოს მოინახულებს, დადიანების დიდებულ სასახლეს, მათ მდიდარ ბოტანიკურ ბაღს, სალხინოს საზაფხულო რეზიდენციას, იქვე ეზოში ბზებისა და ჭადრის უგრძელეს ხეივანს, ოკაცეს კანიონს, მურვან-ყრუს ჯართან ნაბრძოლებ ნოქალაქევთან მისივე ზარბაზნის ხილვა გულს გაუსერავს, ის ხომ წარსულის ტკივილს მძაფრად აგრძნობინებს ყოველ ქართველს?!...

შემდეგ უფროსთან, დათასთან ერთად, გურიას ეწვევა და მის სიყვარულს გაითავისებს... „გურიაში რა მინდოდა უსიყვარულოდ“...

სამება ჯიხეთის დედათა მონასტრის მადლს შეიგრძნობს, მის ეზოში ნაძვსაც დააკვირდება—ნაძვს ტოტები უჩვეულოდ რომ დაუხრია ძირს და ერთ ტკივილიან ამბავს გვახსენებს: მონასტერს მტერი შემოსევია. მონაზვნები ამ ნაძვის ქვეშ შესულან და ნაძვს ტოტები დაუხრია, ასე დაუფარავს მონასტრის დედები მტრისგან... ბუნებაში არც ერთ ნაძვს ასეთი ვარჯი ანუ ტოტების განლაგება არ აქვს.

ქობულეთში „მინიატურული საქართველოს“ პარკს ეწვევა... „მთელი საქართველო აქ არის“... 54 სკულპტურა საოცარი, განსაკუთრებული სიზუსტით შესრულებული.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია ვარძია... მართლაც სამცხეჯავახეთს რომ წარმოიდგენს ადამიანი თავს მისი ხილვისას!

მუსიკოსთა პარკშიც შეივლის. თითქმის ყველა ქანდაკებასთან მუსიკას მოუსმენს, ზოგს ხელს ჩამოართმევს, ზოგს ხელს გადახვევს, ზოგთან ერთად ინსტრუმენტზე „დაუკრავს“, ზოგთან ხელსაც გაშლის საცეკვაოდ... ზღვასაც მიესალმება გრიგოლეთში...

მიხარია, რომ ჩემს შვილებთან და მათ თანატოლებთან ერთად მიწევს ამ ღირსშესანიშნაობებთან და სიწმინდეებთან მიახლეება—ისინი ეცნობიან და იგებენ ვისი გორისანი არიან, რათა ხვალინდელი დღე სწორად განსაზღვრონ, რომ მომავალი ნათელი ჰქონდეს—იტყვის მოგვიანებით.



მერე დაიწყება ცხელი ზაფხულის სამი თვე, ჩვენებური არდადეგები... და ახლა ოლღა ბებიასავით იწყებს ლოცვას: „ღმერთო, შენ მომეცი სიმშვიდე და მშვიდობა, ჩემს შვილებს კი ლაღი და უდარდელი ბავშვობა“...

მათთან ერთად ფეხბურთსაც თამაშობს (ერთი ფეხბურთის გუნდია თითქმის, თუ მამასაც სცალია), ოღონდ სულ კარებში დგას, რომ ნაკლებად დაიღალოს (ისედაც არ აკლია დაღლა), კუკუმალობანას თამაშშიც ერთვება და ისე იმალება ველარც პოულობენ ხანდახან, „ვისი სული გსურს“-ეს თამაშიც უყვართ ბიჭებს და თანაც სულ დედის სული სურთ... ხან წითელქუდაა, ხან მაშა და ხანაც კოკროჭინას დედა.

...კიდევ რაღაც გეგმებია სექტემბრამდე. ჰოდა ასე, ეს ზაფხულიც გაივლის.

რამდენიმე წიგნს ერთად წავიკითხავთ. ცოტა მათემატიკასაც მივხედავთ და სექტემბერში ოთხივე: სკოლისაკენ ჰერი, ჰერი!

ღმერთო, ნუ მოაკლებ შენს მადლსა და წყალობას ამ პატარა ცელქ ბიჭებს, მაგარ მაკარიძეებს... დრო დროზე სწრაფად მიჰქრის, გაივლის ეს მღელვარე ხანაც და მერე, მერე, ღრმად მწამს და მჯერა ყველაზე მეტად ჩემი შვილების პატარაობა მომენატრება...

...ასე იქნება ეს...“

დიახ, აი ასე თერჯოლის №1 საჯარო სკოლას ამ ლამაზი ოჯახიდან ოთხი მოსწავლე მიაშურებს განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული დათა მე-7, საბა მე-6, გაბრიელი მე-3, ხოლო დემეტრე პირველი კლასის მერხს მიუჯდება. მანამდე უამრავი საზრუნავი აქვს ოჯახს... არც ერთი სიტყვა პრობლემებზე, თუმცა, თანადგომა და ხელის წაშველება ნამდვილად სჭირდება, სამაგიეროდ უამრავი ფიქრი და ოცნება სამშობლოზე, მის აწმყოსა და მომავალზე. დიახ, ნამდვილად უნდა უკეთესი იყოს სამშობლო ეკონომიურად, სულიერად, სიყვარულითა და სიხარულით გაჯერებული... ტრადიციების დამცველი...

„იმ დიდი წინაპრის ანთებული გული გვინდა (ილიას გულისხმობს), მეტი პატრიოტული სული, მეტი ეროვნული სულისკვეთება! მეტი გულიანი ქართველი!

„ჟამით ჟამად“ მოიწევდა ქართველთა თავზე ქარტეხილები, მაგრამ გვფარავდა უფალი, გვიჩენდა ფარნავაზს, ვახტანგს, დავითს, თამარს, საბას, ილიას... და კიდევ მრავალს.

მათმა თავგანწირვამ მოიტანა დღემდე ეს ქვეყანა და ჩვენი ვალია: მოვუაროთ საქართველოს!

აი ესაა 4 ვაჟის დედის სადღეისო ოცნება და განაცხადი!

მზია ცქიფურიშვილი

ლიტერატურული გვერდი

გაგაცნობთ დავით კლდიაშვილის პრემიის ლაურეატს თეიმურაზ ლანჩავას



დავით კლდიაშვილი-160

თეიმურაზ ლანჩავა დაიბადა 1947 წელს.

1965 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-4 საშუალო სკოლა, 1966 წელს—გიორგი მაისურაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, 1971 წელს—ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობდა ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ, გამომცემლობა „საქართველოს“ ქუთაისის ფილიალის მთავარ რედაქტორად, გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორის მოადგილედ.

იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და ჟურნალ „ნიანგის“ კორესპონდენტი. 1975 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. 1989 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარედ, რომელმაც 1995 წელს დააარსა სახელობითი ლიტერატურული პრემიები: პოეზიაში — ლადო ასათიანის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ანა კალანდაძის; პროზაში — დავით კლდიაშვილის, ნიკო ლორთქიფანიძის, ნოდარ დუმბაძის, პუბლიცისტიკაში — ნიკო ნიკოლაძის; ფერწერაში — დავით კაკაბაძის.

1990 წელს დააარსა მწერალთა და ხელოვანთა გაზეთი „უქიმერიონი“ და დღემდე მისი მთავარი რედაქტორია.

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

თ. ლანჩავას ნოველები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, აფხაზურ, სომხურ და ინგლისურ ენებზე. მისი პიესა „აქვე, ახლოს“ 1988-89 წლებში დაიდგა ლადო მესხიშვილის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

1999 წელს მიენიჭა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია. არის საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის და აკაკი წერეთლის სახელობის, გიორგი ლეონიძის, ასევე ოთარ და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატი.

2001 წელს აირჩიეს ქ. ქუთაისის საპატიო მოქალაქედ.

2005 წლიდან არჩეულია საზოგადოება „ქუთაისელის“ ვიცე-პრეზიდენტად.

გამოცემული აქვს წიგნები (პროზა): „ჩემი მხიარული მოწყენილობა“, „გზა მზისკენ მიდის“, „ზამთრის თეთრი მერცხლები“, „ჩემი სიკვდილის სინათლე“, „ვიღაც იძახდა ჭიშკართან“, „ჩამქრალი ვულკანი“, „გარდასულ დღეთა უსასრულობა“, „ერთი ნაბიჯი ზღაპრამდე“, „დაუძინებლად ნანახი სიზმრები“, „ზეცის საიდუმლო“, ნოველები ერთტომეული.

პოეზია: „ამღვრეული ფერები“, „ბედნიერი ხარ უსასრულობით“, „გალობა იდუმალებით“, „მიუწვდომელი ხარ ძლიერ ახლოს“, პოეზიის ერთტომეული.

ომი იყო...

რაც წამოიზარდა, ერთხელაც არ ჩაუხედავს სარკეში. ათი წლის წინათ გადაღებული სურათიც ცეცხლს მისცა და მოისვენა.

გრძნობდა, მისი მსგავსი მაიმახი ერთი არ დადიოდა ქალაქში, ამიტომაც გაურბოდა, ერიდებოდა ხალხს.

ჭორფლიანი, ნაყვავილარი სახე ჰქონდა, ღორის ნაჩიჩქნივით დაზღმურტლული ნიკაპი, ელამი თვალები და ნაცვლად წარბებისა, შეუმჩნეველი, ყვითელი ბუსუსები. მუდამ პირმოკუმულს, ტუჩების ადგილზე ერთი სწორი ხაზი აჩნდა. გვარიანად გამელოტებულ თავზე სათესლე კარტოფილის ბოლქვივით აჯდა მეჭეჭი. გაწვრილებულ კისერზე აქეთ-იქით წურბელასავით შეჰყოლოდა ორი იისფერი ძარღვი.

სუსტი იყო. იდაყვებდაცრეცილ პიჯაკში საფრთხობელასავით მიაქნევდა ჩხირივით ხელებს და მძიმე შუაზე გადაჭრილ ჩექმებს დიდი ვაი-ვაგლახით მიათრევდა.

არავინ ჰყავდა სარჩენი, არც მარჩენალი.

გზაზე ჩავლილს ყველა თვალს არიდებდა, მხოლოდ პატარები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ შიში, უცინოდნენ და თითო-ოროლა კამფეტი მუდამ ჰქონდა მათთვის.

დილით ადრე, ქალაქის თავში ხვდებოდა მზის ამოსვლას, ღამით, ქალაქის ბოლოში ასტრონომის თვალით მისჩერებოდა ამოგორებულ მთვარეს.

როცა მზეს სითბო ეკარგებოდა, ცეცხლფარეშად მუშაობდა ერთ პატარა ქარხანაში. გამოზაფხულზე ტყეში მიდიოდა და ტყისმჭრელობდა. „ეი, ბიჭოს“ ისე იყო შეჩვეული სხვაგვარ დაძახებაზე არც მოიხედავდა. ხელფასი პაპიროსსა და პურში ეხარჯებოდა. თუ რამე გადარჩებოდა ძველთაძველ ზანდუკში ჭუჭკნიდა და ინახავდა.

ომის დროს ქალაქში გამეფებული შიმშილობა სრულებით არ უგრძვნია, პატარა ბიჭებთან ერთად ახლა დიდებიც აღარ ერიდებოდნენ და თაგვის სამყოფიღა რჩებოდა სიმწრით ნაშოვნი პურიდან.

იმ დასახლებაში, სადაც ერთი კარებმიმპალი ოთახი მასაც ეკუთვნოდა, ძირითადად მუშები ცხოვრობდნენ, ისეთი მუშები, ყველაფრის ერთგულებას რომ ამჟღავნებდნენ და მოსახლეობის გამრავლებაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ თავს ზემოთ მონახული ძალით.

ქუჩა პატარა, ფინური ბინით იწყებოდა, სადაც ერთი ლეიტენანტი ცხოვრობდა. თვითონ მამაკაცი, გარდა იმისა, რომ სამხედრო მოსამსახურე იყო, იმითაც იქცევდა ყურადღებას, ლამაზი ცოლ-შვილი ჰყავდა და მისი სილამაზე იმ უბანში ვერ ეტეოდა. როცა კაცი ომში წაიყვანეს, ცოლს წყლიანი, რაღაცისმთქმელი თვალებით დაშორდა.

მკერდსავსე იყო შავგრემანი ქალი, პატარა ბიჭს ეღეჭა თუ არა მისი ბარაქიანი მკერდი, სრულებითაც არ ეტყობოდა. მრგვალი, ხორცსავსე ფეხები ჰქონდა და განიერ თეძოებს ოფოფის კუდივით დაატარებდა.

ტყვილად ჯავრობდა ომში მიმავალი ლეიტენანტი. ყველა საღი მამაკაცი მათან ერთად გაუყენეს გზას, მარტო მაიმახი შემორჩა იმ უბანს და ერთი კუზიანი, ცალთვალა მეპურე. იმას დამბლა დაეცა და ნახევარი მხარე მდუღარემინასხამ ხესავით გაუხმო.

შიმშილობდა ქალაქი. ათასობით გაუმაძღარი კუჭი ნერწყვით იქცევდა თავს.

ერთხელ, როცა დაღლილი მაიმახი შინ ბრუნდებოდა, ნახევრად ჩამოგდებულ ჭიშკართან ლეიტენანტის ცოლი შენიშნა, უღალატა თავის ჩვევას და ჩვეულებრივზე ნელი ნაბიჯით წამოსულმა, ქალი თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა. იმ წუთში იმნაირი კაცის გამოხედვა ჰქონდა, ძალიან რომ უნდა, მოწონებული ნივთი იყიდოს, მაგრამ გროშ-კაპიკიც არ გააჩნია. ელამმა თვალებმა შეამჩნიეს, შუბლზე ჩამოყრილი თმების ქვეშ სევდიანმა თვალებმა რომ გაუცინეს, თუმცა, ვერ გაარჩია, უცინოდნენ თუ დასცინოდნენ.

იმ საღამოს მასთან ლეიტენანტის პატარა ბიჭი მივიდა, შიმშილით გამწლეულ მუცელზე ჩაცურებული შარვალი ამოიწია და მისიკვდილებული ხმით უთხრა:

— მშია, ბიძია!

სიტყვა „ბიძიას“ მეტი არაფერი გაჰკვირვებია მაიმახს, ყური ხომ არ მატყუებსო, თვალები უფრო დააელამა.

— გშია? — თქვა და პატარა ბიჭმა დაინახა, მის მეჩხერ კბილებს შიგნით როგორ აბლუკუნდა ენა.

— ჰო, ბიძია!

მაიმახმა ძველთაძველ ზანდუკს თავი ახადა, ფული ამოიღო და ბიჭს გაძვალტყავებულ ხელში მიაჩეჩა პურის ნატეხთან ერთად.

იმ ღამეს მშიერი დარჩა მაიმახი, დაღლილი და მშიერი. დილით ჭიშკართან ჩავლილს ისევ გაუცინა შავგრემანმა ქალმა. მაიმახს ტანში ჟრუანტელამა დაურბინა. დაკემსილი შარვალი გაისწორა და უხერხულად შეიშმუშნა.

მერე მთელი კვირა აღარ გამოჩენილა ბიჭი, არც ის ქალი დაუნახავს.

მიდებდა თუ არა თავს ბალიშზე, ეჩვენებოდა, თითქოს ლეიტენანტის ცოლი ხარხარებდა მისი დანახვისას, თვალებიდან ცრემლები გადმოსდიოდა და შიშველ მაიმახს ეს ცრემლები აბანოში უეცრად მოშვებული ცხელი წყალივით უფუფქავდა ჭორფლიან სხეულს.

იმ ღამეს განუწყვეტლივ თოვდა. წინა ღამით მოყინულ თოვლს ბარაქა მიეცა და სამსახურიდან დაბრუნებული მაიმახი ძლივს მიიკვლევდა გზას. ბუხრის მილს უთვალთვალა, იქიდან ამოსულ კვამლს რომ ვერ მოჰკრა თვალი, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

სახლის კართან ქარს თოვლის ზვინი დაედგა. ჯერ ფეხით გასწი-გამოსწია, მერე, როცა ჩექმის ყელი თოვლით გაევსო, ღობეს ძველი ფიცარი მიამტვრია და გადახვეტა.

საშინლად ციოდა ოთახში. ნავთქურაშიც გამოლეულიყო საწვავი. ხახვი გაფცქვნა, პურს მიაჭამა და ლოგინში შეგორდა. ჯერ იყო და ვერაფრით ფეხები ვერ გაითბო. ქვემოთ რომ ამოიკეცა, სიგრძეში არ გასწვდა საბანი, მერე ძველი, შეკოწიწებული, იმერეთის პეიზაჟივით აჭრელებული თხელი ქსოვილი წაიფარა და მთელი დღის ნაჯაფს ჩასთვლიმა.

ცოტა ხნის შემდეგ კაკუნი მოისმა. იფიქრა, მომეჩვენაო, მაგრამ აჭრიალებულმა კარმა გამოაფხიზლა. კედლისკენ გადაბრუნებულმა მხარი იცვალა და...

კართან ლეიტენანტის ლამაზი ცოლი იდგა. თმადაფიფქული, ტუჩებდალურჯებული.

— ბიჭი?.. — მეტი ვერ მოახერხა მაიმახმა და გამხმარი მუხლისთავი საბანში შემალა.

— ბიჭი სამი დღეა წევს, — ისეთი სახით თქვა ქალმა, თითქოს წიგნში წაკითხულ ამბავს ჰყვებაო, ორი ნაბიჯი გადადგა და საწოლის ბოლოზე ჩამოჯდა.

მაიმახს შეახურა, მერე ტანში ციებიანივით გაბურძგლა და გაილურსა.

— მესამე დღეა... ქალმა მხრებზე მოხურული ქმრის შინელი მოიძრო და საწოლზე გადაკიდა.

— ცეცხლს დავანთებ... ამოილუღლუღა ნირწამხდარმა მაიმახმა, მაგრამ მაშინვე ცარიელი სანავთე გაახსენდა და ხელები ჰაერში გაასავსავა, მერე ცალი თვალი წაჰკრა, ლეიტენანტის ცოლმა აკანკალებული თითები როგორ გააპარა კაბის ღილებისაკენ, თავი სიზმარში წარმოიდგინა და საბანში ჩარგო.

ქალის სურნელმა აავსო იქაურობა, ისეთმა სურნელმა, დასიცხული კვირტი რომ ააბოლებს გაღვიძებისას.

თვალები მაგრად მოხუჭა, ისევ გაახილა და...

შიშველ მხრებს აქეთ-იქედან ჩამოჰყოლოდნენ დალალები.

ჯერ ქვემოთ არ ჩამოუცილებია მზერა. თავდახრილი წამოდგა, საწოლის ქვემოდან ზანდუკი გამოათრია, დაჭმუჭნული ფული ხელის ფათურით ამოაძვრინა, იატაკზე დაცურებული შინელი ხელის კანკალით აიღო (მოეჩვენა, ახლაც ოფიცრის ოფლის სუნით იყო გაჟღენთილი იგი), გახევებულ ქალს მხრებზე მოახურა, ფული ჯიბეში ჩაუტენა, მერე კარი გამოაღო და დათოვლილ გზას გახედა... როცა ლეიტენანტის ცოლი თოვლის ზვინებს მიეფარა, ძველთაძველ სარკეს ტილო ჩამოხსნა.

ამ წუთში იგი ყველაზე ლამაზი მამაკაცი იყო.

ჰოლანდიელები სიქთარვაში, შთაბეჭდილებები და გეგმები...

„ქართველები ამაყობთ თქვენი ქვეყნით და ხალხით, ერთმანეთით, ახლა დავრწმუნდით, რომ მართლაც გქონიათ საამაყო“—ეს და კიდევ მრავალი საქებარი სიტყვა, სიქთარვაში მცხოვრებ, თემურ კვატაიას ოჯახში სტუმრად ჩამოსულმა ჰოლანდიელებმა თქვეს. სტუმრები კი, საქმიანი და წარმატებული ბიზნესმენები, ბელგიაში, ქმართან, ნესტორ ყაზაიშვილთან და ორ შვილთან ერთად მცხოვრებ თემურის ქალიშვილის, მარიამ (მარიკა) კვატაიას მეგობრები და ბატონი ნესტორის ბიზნეს პარტნიორები არიან.

ოჯახი, სადაც მარიკა, მისი ძმები ავთანდილი და ელიზბარი იზრდებოდნენ

სრული ორი წელი დასჭირდა ყაზახეთში, ქ. გურიევში დროებით სამუშაოდ წასულ თემურ კვატაიას მოეგო მშვენიერი ნატაშა ჯაფაროვას გული, „მახსოვს ნატაშასთან პირველი შეხვედრა, სადარბაზოს კიბეზე ჩამოდიოდა, მწვანე პალტო და მასთან შეხამებული ჩექმები ეცვა, ძალიან ახალგაზრდა და ლამაზი იყო, სკოლას ამთავრებდა“—მითხრა თემურმა. „მერე არ შეგრცხვა ამხელა კაცმა პატარა გოგოს რომ დაადგი თვალი?—ისე ვუთხარი, თითქოს 1977 წელს თემური თვითონაც

ახალგაზრდა არ იყო.

დიდი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. მარიკა და ავთანდილი ყაზახეთში დაიბადნენ, 1991 წელს საქართველოში ჩამოვიდნენ და კიდევ ერთი შვილი გაჩნდა—ელიზბარი. ნატაშას პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი ფაკულტეტის სრული კურსი აქვს დამთავრებული, მაგრამ დიპლომი ვერ აიღო საქართველოში ჩამოსვლის გამო. ერთ ხანს სიქთარვის საჯარო სკოლაში მუშაობდა რუსული ენის მასწავლებლად, ახლახან ქუთაისის პედაგოგიური უნივერსიტეტი დაამთავრა, დიპლომიც აქვს და კვალიფიკაციაც, სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ აბიტურიენტებთან მუშაობს ონლაინ რეჟიმში. თემურს სოფლის ცენტრში, სახლთან ახლოს მარკეტი აქვს, დიდი სქელტანიანი ნისიების რვეულიც, რომელშიც მეც და სხვებიც მრავალჯერ მოვხვედრილვართ.

თემური და მისი სამივე შვილი მარიკა, ავთანდილი, ელიზბარი უმაღლესი განათლებით არიან, რძლები: მანანა დიდებაშვილი ეკონომისტია, ელა მაგრაქველიძე ინგლისურს ასწავლის ჩხარის საჯარო სკოლაში. შვილიშვილები: ირაკლი, ნიკო, ანა, მარი, ელენე, ნატალი, ივა ოჯახის სიამაყეა. პატარები დილით, გათენებისთანავე ბაბუას მაღაზიაში აკითხავენ, მიაქვთ ყველაფერი, რაც უნდათ, მაგრამ ნისიების სიაში არ იწერებიან...

დიდი და გამართული ოჯახი აქვს თემურს, ოჯახის ყველა წევრი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს სიამტკბილობით, განუყოფლად, თითოეული ხვავსა და ბარაქას ჰმატებს მამაპაპისეულ ისედაც ძლიერ ოჯახს. სწორედ ამ ერთიანობამ, ოჯახურმა ტრადიციამ, უფროს-უმცროსობის წესმა მოხიბლა თურმე სტუმრები...

სტუმარი—ყველაზე სასურველი ქართველისთვის...

ახლა აღარავის უჭირს. თუ ადრეულ საუკუნეებში სოფელში შემოსული მოგზაურების პატივსაცემად, მთელი სამეზობლო აგროვებდა ხორაგს, ოჯახის წევრები ღია ცის ქვეშ იძინებდნენ და სტუმარს მიწურს უთმობდნენ, ახლა ეს აღარაა საჭირო და გადაჰყვნენ კიდეც კვატაიები ელენა ტიულევას, რომელსაც ჰოლანდიაში ყვავილების საერთაშორისო ბიზნესი აქვს და ოქსანა ვერესსინინას, რომელსაც ტრანსპორტის ექსპორტის ბიზნესი აქვს, ორივე მხარე—სიქთარველი ქართველები და ჰოლანდიელები ბიზნეს პარტნიორები არიან.

ქალბატონი ელენა და ოქსანა მარიკამ 2018 წელს ქალთა საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციაზე გაიცნო და დამეგობრდნენ, მას შემდეგ გააფართოვეს ბიზნესი, ნესტორ ყაზაიშვილს მრავალი სახის ბიზნესებთან აქვს კავშირი, თემურის ბიჭებსაც...

გიდები—ავთანდილი და ელიზბარი

ქალბატონები ოქსანა და ელენა იყვნენ თბილისში, ქუთაისში, რაჭაში, კახეთში, თერჯოლაში, გოგნში, ცხრაჯვარზე... „საიდან იცით ასე კარგად ქვეყნის და რაიონის ისტორია და ღირსშესანიშნაობა, ნამდვილი გიდები ხართო“—უკვირდათ თურმე. ჰოლანდიელ სტუმრებს ძალიან მოეწონათ ოჯახის ერთიანობა, ერთმანეთთან დამოკიდებულება, მრავალფეროვანი კერძები, ყველაფერი სახლის პირობებში დამზადებული და ნატურალური, ყველი, რძე, ხაჭო, მაწონი... ელენასა და ოქსანას მაღალი შემოსავლები აქვთ, შეუძლიათ იყიდონ ის, რაც მოესურვებათ, მაგრამ მურაბები და ჯემები თან წაუღიათ.

როგორც შევძლებ წარმოვაჩენ საქართველოს...

...ეს სიტყვები მარიკამ თქვა, აგერ სიქთარვაში, ჩვენს გვერდით, ჩვენს თვალწინ გაზრდილი მშვენიერი გოგო, ბელგიაში წარმატებულად მოღვაწეობს და მომავალიც ნათლად და უკეთესად წარმოუდგენია. მარიკა დიდ პატივს სცემს განათლების ღირებულებებს, მიაჩნია, რომ ქვეყნის სიძლიერე სწორედ თაობების განსწავლულობაზეა დამოკიდებული—ჩვენ ვამაყოთ ქვეყნის ისტორიით, მისი გამორჩეული ადამიანებით, ისეთი კვალი უნდა დავტოვოთ ჩვენი-

თაც იამაყონ მომავალმა თაობებმა.

ვიყოთ ავთენტიკურები, გვიყვარდეს ყველაფერი ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული... მე, როგორც დროებით საზღვარგარეთ მცხოვრები ერთი ქართველი, როგორადაც შევძლებ წარმოვაჩენ საქართველოს, ქართული ეროვნული სულით ვზრდიდი შვილებს, ასე იქნება მომავალშიც, რადგან მიყვარს ჩემი ოჯახი, ჩემი სოფელი, ჩემი ქვეყანა“—ამბობს იგი.

რას აკეთებს მარიკა იქ, ევროპაში

...უმაღლესი განათლება, მრავალი ტიტული, აღიარება. იგი არის: იოგის მასწავლებელი კიერაის (KRI) საერთაშორისო ინსტიტუტში, ქოუჩინგის ექსპერტი, კლინიკური ფსიქოლოგი, პირველი და მეორე საფეხურის რეიკის ოსტატი...

დასამახსოვრებელი ფრაზა...

„იქ და არსად არავის ჭირდები, თუ შენი ქვეყნის და შენი ხალხის ფასი არ იცი, პირველად ქართველობა, საქართველო და მერე სხვა დანარჩენი“... საბედნიეროდ და საამაყოდ, ასე ჩამოყალიბდა მარიკას შეხედულებები და აზროვნება დასავლეთ ევროპის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში—ბელგიაში, განვლილ ორ ათეულზე მეტ წელიწადში...

მარიკა ფლობს რამდენიმე უცხო ენას, მაგრამ ქართულს ეთაყვანება, მის ოჯახში ყველაფერი ქართულია, ასე იქნება მომავალშიც.

ბიზნეს კავშირები ჰოლანდიელებთან

ჰოლანდიელი ბიზნესმენები—ელენა ტიულევა, ოქსანა ვერესსინინა, ავთანდილ და ელიზბარ კვატაიებთან ერთად გეგმავენ მოაწყონ იოგას ტურები მთელი ქვეყნის მასშტაბით, განსაკუთრებით აინტერესებთ მაღალმთიანი რაიონები, ფირმები უკვე ოფიციალურადაა რეგისტრირებული ...მაგრამ, საქართველოში, იოგას ტურების სულისჩამდგმელები მაინც მარიკა და ნესტორი, მათი შვილები იქნებიან.

საუბრის დასასრულს

მადლობა თქვენ, რომ დაინტერესდით ჩემი სტუმრებით, თავისთავად ჩემით და ჩემი ოჯახით, წარმატებები ჩემს ქვეყანას, თერჯოლას, ჩემს მშობლიურ სიქთარვას, თქვენს გაზეთს.

ჟუჟუნა ცხადაძე

მორიგი ტურნირი და ახალი გამარჯვებული

დასრულდა ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის VIII ტურნირი მინი ფეხბურთში

6 აგვისტოს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბარდუბნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სათემოს სტადიონზე დასრულდა ქართლოს ჭუმბურიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი VIII ტრადიციული ტურნირი მინი ფეხბურთში.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ორი შეხვედრა.

პირველ შეხვედრაში, მესამე ადგილისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ზედა სიმონეთის „ზედა სიმონეთი“ და ქვედა სიმონეთის „LMNTRIX“. ეს შეხვედრა უხვგოლიანი გამოდგა და იგი „ზედა სიმონეთმა“ მოიგო დიდი ანგარიშით 8:1 (3-0). მეტად დაძაბული და საინტერესო გამოდგა ფინალური შეხვედრა, სადაც ერთმანეთს ბარდუბნის „მერანი“ და ბარდუბნის „სათემო“ დაუპირისპირდნენ.

ამ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ 1-1 დასრულდა. პენალტებით კი ანგარიშით 4-1 გაიმარჯვა „სათემომ“, რომელმაც ამ ტრადიციული ტურნირის ფავორიტისა და ოთხგზის გამარჯვებული „მერანის“ ძლევით, პირველად მოიგო გარდამავალი თასი.

ფინალური შეხვედრის წინ უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ მაისურებითა და საფეხურთო ბურთებით დაასაჩუქრა ზედა და ქვედა სიმონეთის საჯარო სკოლების პირველკლასელები, რომლებიც იქვე გაეჯიბრნენ ერთმანეთს და დიდი სიამოვნება მიანიჭეს იქ მრავლად შეკრებილ მშობლებს და ფინალური შეხვედრისათვის

მოსულ ფეხბურთის მოყვარულებს.

ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ ბარდუბნისა და ეწრის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში გოჩა ვერულაშვილი, დეკანოზი მამა ამირან ქარქაშაძე, სათემო

უბნის სტადიონის დამაარსებელი ელგუჯა აბულაძე, ქართლოს ჭუმბურიძის მეგობარი ლევან ჯაფარიძე, ქართლოს ჭუმბურიძის უფროსი შვილი კახა ჭუმბურიძე, ფეხბურთის იმერეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი დავით რუხაძე, ირფფ-ს გენერალური მდივანი გივი ბაბუნიძე, გაზეთ „თერჯოლას“ რედაქტორი, დავით კლდიაშვილი და რაც მთავარია— მაყურებელი, რომელიც 28 ივლისიდან ესწრებოდა ტურნირის თამაშებს, შეძახილებითა და ტაშით ამხნევებდა ფეხბურთელებს.

ტურნირის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ირფფ-ს პრეზიდენტმა დავით რუხაძემ, დეკანოზმა ამირან ქარქაშაძემ და სხვა გამომსვლელებმა. მათ ისაუბრეს ტურნირის მნიშვნელობაზე, ქართლოს ჭუმბურიძის პიროვნების გამორჩეულობაზე, მის ქველმოქმედებასა და ორგანიზატორულ ნიჭზე, ქართული ფეხბურთის უანგარო მსახურებაზე. გამომსვლელებმა მადლობა გადაუხადეს და წარმატებები უსურვეს ტურნირში მონაწილე გუნდებს, გულშემატკივრებს, ტურნირის ორგანიზატორებს.

აქვე, საფეხბურთო სტადიონზე გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. ტურნირის პრიზიორები გახდნენ:

I ადგილი „სათემო“ ბარდუბანი.

I ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასით, პირველი ადგილის თასით, შესაბამისი მედლებითა და დიპლომით. გამარჯვებულებს გარდამავალი თასი, პრიზები და მედლები გადასცეს ქართლოს ჭუმბურიძის ვაჟმა კახა ჭუმბურიძემ და უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

II ადგილი „მერანი“ ბარდუბანი.

მეორე ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით. პრიზები გადასცა ირფფ-ს პრეზიდენტმა დავით რუხაძემ.

III ადგილი „ზედა სიმონეთი“.

მესამე ადგილის მფლობელები დაჯილდოვდნენ შესაბამისი თასით, მედლებითა და დიპლომით. პრიზები გადასცა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ვერულაშვილმა.

ასევე დაჯლდოვდნენ მსაჯები და ტურნირის გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც გადაეცათ ინდივიდუალური პრიზები.

მსაჯები—გიორგი სოლოლაშვილი, მიხეილ კუპატაძე, ბექა კუნჭულია დაჯილდოვდნენ ბურთებით, რომლებიც მათ ირფფ-ს საშეჯიბრებო უფროსმა მენეჯერმა ნუგზარ რუხიშვილმა გადასცა.

საუკეთესო მეკარე—ზაზა სამანიშვილი („სათემო“) პრიზი გადასცა ქართლოს ჭუმბურიძის მეგობარმა ლევან ჯაფარიძემ.

საუკეთესო მცველი—ვახტანგ ფუტკარაძე („სათემო“) პრიზი გადასცა ირფფ-ს პრეზიდენტმა დავით რუხაძემ.

საუკეთესო თავდამსხმელი—დათო ვერულაშვილი („ზედა სიმონეთი“) პრიზი გადასცა დეკანოზმა მამა ამირან ქარქაშაძემ.

საუკეთესო ბომბარდირი—ლაშა კეზევაძე („მერანი“) პრიზი გადასცა უეფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი—ლუკა ცირეკიძე („სათემო“). პრიზი გადასცა ირფფ-ს საშეჯიბრო უფროსმა მენეჯერმა ნუგზარ რუსიშვილმა.

საუკეთესო ფეხბურთელი—დიმა არეშიძე („მერანი“) პრიზი გადასცა ირფფ-ს გენერალურმა მდივანმა გივი ბაბუნიძემ.

სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ—ელგუჯა აბულაძე და ოთარ ჭუმბურიძე—პრიზები გადასცა ეუფას მედია-ოფიცერმა მამუკა კვარაცხელიამ.

P.S. ქართლოს ჭუმბურიძის სახელობის მორიგი ტურნირი ამჯერადაც საინტერესოდ და ორგანიზებულად ჩატარდა. ტურნირის ორგანიზატორებში, მონაწილეებსა და გულშემატკივრებში უკვე მომწიფდა აზრი, რომ საჭიროა ტურნირის მონაწილეთა გეოგრაფიის გაფართოება, მისთვის უფრო ფართო მასშტაბის მიცემა, რისთვისაც აუცილებელია სოფელ სათემოს საფეხბურთო სტადიონის სრული რეაბილიტაცია...(რედ.)

იზო აბულაძე

გარდაიცვალა ჩვენი გაზეთის ყოფილი ბუღალტერი, ქალბატონი იზო აბულაძე. დასანანია, ათეულ წლობით ერთად ვსაქმიანობდით, ერთი საზრუნავი გვქონდა. გარკვეული სირთულეების მიუხედავად, ვახერხებდით გვეკეთებინა გაზეთი—ახალ ამბავთა მაუწყებელი. ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი და მომავლის ორიენტირი.

იზო აბულაძე გამორჩეული იყო ადამიანური ღირსებით, მინდობილი საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით. ჩვენ ერთად გამოვიარეთ ფინანსური ძნელბედობის მძიმე წლები. არათუ მცირე ხელფასიანი, უხელფასო თვეებიც კი შემორჩა ჩვენს მეხსიერებას. მაინც გავუძელით, ყველამ ერთად შევუნარჩუნეთ საზოგადოებას კეთილი მაცნე.

მადლობას ვუხდით ჩვენს „მეკუჭნავეს“, ანუ რედაქციის შემოსავალ-გასავლის დამთვლელ-მოანგარიშეს!

ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს ბატონ გენოს, პროფესიით ავტოინჟინერს, რომელიც წლების განმავლობაში თერჯოლის მანქანატრაქტორთა სადგურის სამექანიზაციო სამსახურს განაგებდა.

ასევე ვუსამძიმრებთ მათ ვაჟიშვილს, გიორგის, მომავალ მეუღლესთან ერთად მან უნდა შეძლოს მშრომელი ოჯახის ტრადიციების გაგრძელება, გვჯერა, ასეც იქნება.

უფლის ნებით ზნეკეთილ ოჯახში კვლავაც იხარებს სიკეთის ნერგი.

ნათელი ადგეს ადამიანის ხსოვნას, რომელიც ყველას დაგვაკლდა და გული დაგვწყვიტა.

გაზეთი „თერჯოლა“

ნუნუ აბულაძე—90

ღვაწლმოსილი პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის მრავალ თაობათა აღმზრდელი, მრავალი ჯილდოს მფლობელი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე ნუნუ აბულაძე 10 აგვისტოს 90 წლის გახდებოდა...

გილოცავთ ნუნუ მასწავლებელო თქვენს დღეს, იმის განცდითა და იმედით, რომ თქვენს მარადიულ განსასვენებელს მუდამ გააბრწყინებს უფლის ნათელი... თქვენი სული კი ჰპოვებს შვებასა და სასოებას იმ დიდი თქვენსმიერი საქვეყნო საქმის სანაცვლოდ, რასაც მთელი ცხოვრების, მათ შორის 52 წლის პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე მსახურებდით და ასხივოსნებდით.

თქვენი სახით თერჯოლამ დაკარგა ერთი უაღრესად გამორჩეული ქალბატონი, ყველა საუკეთესო ღირსებით შემკული მოქალაქე, რომელიც მუდამ იმ პრობლემათა ჯაჭვის ფერხულში იდექით, აგრერიგად, რომ მოსაფრთხილებელი, მტკივნეული და საჭირბოროტო იყო ჩვენი მრავაჭირნახული სამშობლოსათვის...

დიახ, სამშობლო იყო თქვენი ხატი... მისი წარსული აწმყო და მომავალი. ამ ხატზე ფიქრით სანთელივით იწვოდით, ღელავდით, ფორიაქობდით... უკეთეს ხვალინდელ დღეზე ოცნებობდით...

დრო გადის და ვფიქრობ, დიდი ტკივილი და დანაკლისია თქვენი წასვლა არა მხოლოდ თქვენი შვილების, შვილიშვილებისა თუ ახლობლებისათვის, არამედ თქვენი უამრავი მოსწავლისათვის, ნაცნობ-მეგობრისათვის. დარწმუნებული ვარ ერთნაირად გვაკლიხართ ყველას უკეთილშობილესო ქალბატონო, თქვენი სილამაზით, აქტიურობით, გამორჩეული ყურადღებითა და სიყვარულით, მოფერებით, არაჩვეულებრივი აზროვნებით, მოქალაქეობრივი პოზიციით, განსაკუთრებული მიმართვით: „შვილო“... ეს ძალიან მრავლისმთქმელი სიტყვა დღესაც ყურში ჩაგვესმის და ათას მადლობას გიხდით ყველას სახელით, ვისთვისაც თუნდაც ერთხელ ასე მიგიმართავთ... თქვენ მხოლოდ მასწავლებელი არ იყავით, არამედ—მეორე მშობელი, რომელსაც შეგეძლო თითოეულის ტკივილი თუ პრობლემა გულთან მიგეტანა და პირიქით, თითოეულის სიხარული თუ წარმატება საკუთარ სიხარულად გექცია.

ერთხელ მომწერეთ: „მშობლების სიცოცხლე გრძელდება შვილებში, მასწავლებლისა კი მოსწავლეებშიო“—ჭეშმარიტად ასეა. თქვენი სიცოცხლე გრძელდება, გრძელდება მტკივნეულ, თუმცა, ლამაზ მოგონებებში თქვენი ოჯახისა თუ უამრავ მოსწავლეთა ხსოვნაში.

აკლიხართ გაზეთ „თერჯოლას“ ნუნუ მასწავლებელო. თქვენი შეხმიანება, გამოხმაურება, შექება თუ შენიშვნა მნიშვნელოვანი გზამკვლევი იყო თითოეული რედაქციელისათვის.

დიახ, გამორჩეული მკითხველიც იყავით და შემფასებელიც, კორესპონდენტიც, მეგობარიც და მრჩეველიც... მადლობა ყოველივე ამისათვის.

თქვენს მიერ ღირსეულად განვლილი გზა, თქვენ მეუღლესთან ერთად, ასევე უაღრესად კეთილშობილ ადამიანთან ბატონ ანტონ ჩაფიჩაძესთან ერთად, გზას გაუკვალავს და უწინამძღვრებს თქვენს საუკეთესო შვილ-მომავალს. ისინი, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ სწავლა-განათლებისა და კაცურკაცობის, სამაგალითო ცხოვრების წესის თქვენეულ, ოჯახურ ტრადიციებს, მუდამ იამაყებენ თქვენით...

ჩვენც ვამაყობთ თქვენით...

ნათელში იყოს თქვენი ლამაზი სული...

მზია ცქიფურიშვილი

გაზეთ „თერჯოლას“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებაში თანაუგრძნობენ ციცო პაპიძეს და ვალერიან გოგიაშვილს მამისა და სიმამრის

ვახტანგ პაპიძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „თერჯოლას“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თეა და ეკა რიჟამაძეებს მამის

რომან რიჟამაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი ფოლკლორული ანსამბლები საზაფხულო ფესტივალებზე

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თუკი რომელიმე სფეროში მიღწეული წარმატებებით თერჯოლელებმა უნდა ვიამაყოთ, ერთ-ერთი ნამდვილად კულტურის სფეროა.

სიმღერებისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები „იმერეთი“—ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, „მასპინძელო“—ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე, ქალთა ანსამბლი „იამე“—ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“—ხელმძღვანელები ირინა ბუცხრიკიძე, გოჩა და გიორგი ჭანკვეტაძეები არა მხოლოდ თერჯოლაში და სრულიად საქართველოშია ცნობილი, არამედ მათი სახელები კარგა ხანია გასცდა ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალებში წარმატებული მონაწილეობით დიდი აღიარებაც მოიპოვეს.

დიახ, თერჯოლელი შემსრულებლები, მომღერალთა და ქორეოგრაფიული ანსამბლები, რომ არავის არსად ტოლს არ უდებენ, ეს მათ არაერთხელ დაადასტურეს. ასე მოხდა წლევანდელ ზაფხულსაც.

მსოფლიო პანდემიით გამოწვეული „დაპაუზება“ კულტურის სახლთან არსებულმა სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლებმა დაძაბული მუშაობით მალევე აინაზღაურეს, კვლავ ჩვეულ ფორმაშიც ჩადგნენ და ისევ ისე დაიპყრეს მონატრებული სცენა როგორც სჩვევიათ...

მიმდინარე წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ატარებს ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალს—ხალხური რეწვის ტრადიციული დარგების აღორძინებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ასევე სახალხო მთქმელების, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის აღწერის, ფოლკლორის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე უკვე ჩატარდა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველი ტური.

30 მაისს საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის პირველ ტურს თერჯოლის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. აქ, თერჯოლის ფოლკლორულ კოლექტივებთან ერთად, წარმოდგენილი იყვნენ ტყიბულისა და ხარაგაულის მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები, ინდივიდუალური შემსრულებლები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები, სახალხო მთქმელები, ავტორმთქმელები და ფოლკლორული ნიმუშების შემკრებლები.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან მოვლენილ საორგანიზაციო ჯგუფს. კულტურის სამსახურმა, კულტურის ცენტრმა და კულტურის სახლმა ყველა პირობა შეუქმნეს წარმატებული მუშაობისათვის.

საორგანიზაციო ჯგუფის წევრებმა კოლექტივების დათვალიერებასთან ერთად შესაბამისი დარგების მიხედვით მოახდინეს მასტერკლასების ჩატარება, პროფესიული შენიშვნებისა და მითითებების მიცემა თითოეული შემსრულებლებისათვის.

როგორც „თერჯოლასთან“ კულტურის სახლის დირექტორმა ლია ბუსკივაძემ, აღნიშნა ფესტივალის საორგანიზაციო ჯგუფების მიერ მოწონებული იქნა თერჯოლის კულტურის სახლთან არსებული შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა და I ტურში წარდგენილი ნომრები, აგრეთვე ხალხური რეწვის ნიმუშები, ხათუნა გურულის, ანა გოგიაშვილის, გელა დათიაშვილის ნამუშევრები, რამაც განაპირობა მათი გადასვლა მეორე ტურში, რომელიც მიმდინარე წლის ოქტომბერში გაიმართება.

წარმატებული იყო თერჯოლელი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობა „არტგენი-22-ზე“ ქ. თბილისში. მონაწილეობის გარდა ჩვენმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა ფესტივალის ორგანიზატორთა დაკვეთით წარმოადგინეს 40 წუთიანი კონცერტი და დიდი მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

„არტგენზე“ თერჯოლელთა კონცერტის შემდეგ 1 საათიანი კონცერტი გამართეს „სუხიშვილებმა“, ილიკო და ნინო სუხიშვილების ხელმძღვანელობით, რომლის ნახვის საშუალება გვქონდა...კონცერტმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც ჩვენი, ისე იქ დამსწრე საზოგადოებისა.

აღნიშნულ ღონისძიებებზე ჩვენი ანსამბლების წარმატებულმა გამოსვლამ განაპირობა პარლამენტარ ელისო ბოლქვაძის ინიციატივით მოწყობილ შავი ზღვის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მიწვევა, რომელიც 27 ივლისს ქ. ბათუმში გაიმართა.

ფესტივალზე სრულად იყვნენ წარმოდგენილი კულტურის სახლთან არსებული სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლები და მასთან ერთად ხალხური რეწვის ნიმუშები. საგამოფენო სივრცეს ამშვენებდა თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის პედაგოგების: ხათუნა გურულის, ანა გოგიაშვილის, გელა დათიაშვილის თექა გობელენის, ქარგვისა და საიუველირო ნაკეთობათა ნიმუშები.

თერჯოლელმა მომღერალ-მოცეკვავეებმა, როგორც ამბობენ, სული და გული ჩადეს თითოეულ ნომერში და უამრავი ქართველი თუ უცხოელი მაყურებლის აღტაცება და მოწონებაც დაიმსახურეს.

ფესტივალის თერჯოლელ მონაწილეებს: მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლებს „იმერეთს“, „მასპინძელოს“, „იამეს“, „იმერეთს“ და მათ ხელმძღვანელებს გულთამზე კუბლაშვილს, ინეზა ბუცხრიკიძეს, გოჩა ჭანკვეტაძეს და ირინა ბუხრიკიძეს წარმატებული მონაწილეობისათვის, ასევე ხათუნა გურულს, ანა გოგიაშვილს, გელა დათიაშვილს ფესტივალის ორგანიზატორმა მადლობა გადაუხადა...

ახლა ფოლკლორული ანსამბლები ინტენსიურად ემზადებიან საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მეორე, დასკვნით ტურში სანიმუშო გამოსვლისათვის...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872